ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ №28/02-01

თბილისი „28“ „თებერვალი“ 2019 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, „აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლევან გოფოძის სახით, და მეორე მხრივ, შემდგომში „მიმწოდებელი“ ი/მ „გიორგი კანდელაკი– ვესტა“–ს სახით, ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, SMP-მოდულში განთავსებულ განცხადებაზე მიღებული თანხმობის **SMP190001089** საფუძველზე, ორგანიზაციის საჭიროებისათვის საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა (cpv კოდი: 30100000) შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული მომსახურება 2190.00 (ორი ათას ას ოთხმოცდაათი) ლარად. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

№	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ფასი	ქვეკატეგორიის კოდი
1	ქსეროქსის (საბეჭდი) ქაღალდი A4 (500ფ) CRYSTAL	შეკვრა	300	7.30	2190.00	30197630
	ჯამი				2190.00	

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად 2019 წლის 28 მარტს.

4.2. ადგილი:

4.2.1. შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა”. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №29

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2. მიწოდებულ მომსახურებაზე ანაზღაურება იწარმოება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მოწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. „მიმწოდებელი“ არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში წარუდგენს „შემსყიდველს“ მიწოდებული მომსახურების შესახებ სასაქონლი ზედნადდებს ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურას.

6.2. გაწეულ მომსახურებაზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია, მომსახურების გაწევიდან არანაკლებ 12 თვე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1.უზრუნველყოს შესყიდული მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2.გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი
9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1.შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2.თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.
12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ინსპექტირების პირობები

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს უფლებამოსილი პირი, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსის უფროსი ზურაბ ამაშუკელი.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

14.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 8 აპრილამდე.

15. განსაკუთრებული პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

15.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №29 ს/კ №205165453 ს.ს. „ბანკი ქართუ“ ბ/კ №CRTUGE22 ა/ა №GE87CR00000000000023402	ი.მ „გიორგი კანდელაკი ვესტა“ ქ. თბილისი აღმაშენებლის 55/1 ს/კ: 01009005243 ს.ს. საქართველოს ბანკი ბ/კ: #BAGAGE22 ა/ა #GE75BG0000000888000801
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ლევან გოფოძე**	**ინდივიდუალური მეწარმე** **გიორგი კანდელაკი**